ცნობის ფურცელი

№ 2416 შაბათი, 21 თებერვალი 1896—1904 ყოველ-დღიური გამოცემა № 2416

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში კანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію **„Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“**. ტელეფონი № 372.

გაზეთის ნომერი ღირს 3 კაპ. სურათებიანის დამატებით 5 კაპ.

ქართული თეატრი

სამშაბათს, 24 თებერვალს ქართულ დრამატიულ არტისტების დასის-მიერ წარმოდგენილი იქნება:

I

ყაჩაღი არსენა

დრამა 3 მოქმ. ა. ყაზბეგისა.

II

არკადიას სადილი

კომ. 3 მოქმ. ნ. გალუსტოვისა

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი: დავითაშვილი, ნებიერიძე; ბ-ნნი: ბაქრაძე, ბეგლარიძე, ბარველი, გვარაძე, იმედაშვილი, ივანიძე, იორდანაშვილი, მატარაძე, სარჯველაძე, ჰელიძე და სხვანი.

ადგილების ფასი: 50—1 მ. და 50 კაპეკამდე დასაწყისი საღამოს 8½ საათზე.

(4—1) გამგე **ა. იმედაშვილი**

სახაზინო თეატრი. რუსული ოპერა.

ანტრეპრიზა **მისის უდიდებულესობის** სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

შაბათს, 21 თებერვალს წარმოდგენილი იქნება

ლაკმე

ოპერა 3 მოქმ. მუს. დელიბასი.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ბობროვა-ბოეიფერი, სტეფანოვიჩი, მელნიკოვა, დედინა; ბ-ნნი: კორეევიჩი ილიუშჩენკო, თულაევი. ბუნტიარსკი, რჟანოვი, გავრილოვი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. კაპელმეისტერი ე. ესპოზიტო.

ანონსი: 22 თებ.—„პიკოვაია დამა“; 23 თებ. „ტრავიატა“. (0—7)

ფასი 25 კაპ. დაიბეჭდა და იყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში ფასი 25 კაპ.

„ღალატი“

ისტორიული ლეგენდა 5 მოქ. **თავ. ა. ი. სუმბათაშვილისა**, თარგ. კ. მესხის-მიერ.

ვინც 50 ც. ეგზემპლიარზე მეტს იყიდის—წიგნი დაეთმობა 18 კაპ. ადრესი: Грузинское Издательское товарищество. (10—1)

ოზურგეთის ქალაქის მოურავი

ამით აცხადებს ქალაქ ოზურგეთის მამულის პატრონთა საყურადღებოდ, რომ ბ-ნ ქუთაისის გუბერნატორის ნება-რთვით, იმის მიერ 22 მარტს 1904 წ. დილის 10 საათზე ქალაქ ოზურგეთში დანიშნულია კრება მამულის მეპატრონეებისა. კრებამ უნდა აარჩიოს 1904—1908 წლებისათვის ქალაქის რწმუნებულები და მათი კანდიდატები. ამასთან კრება კანონიერად ჩაითვლება, თუ გამოცხადდა არა ნაკლებ ოცდა-ხუთ ამომრჩეველისა.

ოზურგეთის ქალაქის მოურავი

(4—6.—3) **დ. ცეცხლაძე**

„კახეთის“

მევენახეთა საზოგადოების გამგეობას პატივი აქვს აუწყოს საზოგადოების წევრთ' რომ ამა წლის 5 მარტს დანიშნულია წევრთა მეორე **საზოგადო კრება** თელავში. თანახმად § 40 საზოგადოების წესდებისა, ეს კრება კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს კრებას.

კრებამ უნდა განიხილოს: წლიური ანგარიში; 1903/1904 სამოქმედო წლის ხარჯთაღრიცხვა; საკომისიო ჯილდოს რაოდენობის აღნიშვნა; საურთიერთო დახმარების ფონდის დაარსება; მოგების განაწილება; მართველთა წევრთა არჩევა. (3—1)

ხეხილის ნერგები

საუკეთესო ხარისხისა საზღვარ-გარეთის და ადგილობრივი **ისყიდება** ზომიერ ფასად

ფ. ავსარქისოვის

მამულში. ადრესი: კავკასიის რკინის გზა—სადგური სკრა ფ. ავსარქისოვს. კატალოგები მსურველთ უფასოდ ეგზავნება. (ნ 10—4)

ქუთაისში

ექიმი ს. ი. ბეგიშვილი

იღებს სნებით, შინაგან და ვენერიული სნეულებით ავადმყოფებს დილის 9—12 საათამდე, და საღამოს 3—5 საათამდე. გენერალის ქუჩა, სახლი ბენიამინ ქურთოშვილისა.

კბილის ექიმი

ი. პ. ახალშენიშვილი

(ელისაბედის ქუჩა, № 88).

მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე. საღამოობით 5—7-მდე, ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე და საღამოობით 5—7-მდე.

ექიმი

ა. ნ. დიასამიძე

(კანისა და ვენერიული)

დილის 9—10 ს. საღამოს 7—9 საათამდე. კვირაობით მხოლოთ დილით. მიხეილის პროსპექტი № 123. (თვ.—0—19)

ქუთაისში

ექიმი გ. დ. ნასარიძე

მიიღებს შინაგან და ნერვების სნეულებით ავადმყოფთ დილით 9—12-მდე საღამოთი 5—7საათამდე. ტფილისის ქუჩა, სახლი ანტიპარმაკლიძისა. (0—6.—54)

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ლ. ივ. ძამოევი.—საშარდეს, ქირურგია, ვენერ. სიფილ. და კანისა 10 ს.—11-მდე.

ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის. 10—11 საათამდე.

ა. გ. მაღალაშვილი.—ბავშვებისა და შინაგ. 10—11 საათ.

ვ. დ. ლამბაშიძე.—შინაგ. და ბავშვ. ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 11—12.

რ. ვ. სოგოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკევ. 1—3 საათამდე.

ვ. ვ. მანსვეტოვი.—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების, კვირაობით 10—12.

ქ. ქალი მ. ა. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

დ. მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

ვ. ჭიჭინაძე—კბილისა, 8—9 საათამდე.

ნ. ტყეშელაშვილი.—კბილისა, 9—11 საათამდე.

საღამოთი:

ვ. სოგოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია. სამშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.

ა. გ. მაღალაშვილი.— შინაგ., ბავშ., ყვავილის აცრა და მიკროქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

სამკურნალოს აქვს ოცი მუდმივი საწოლი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

(წლ.) ტელეფონი № 274

ქუთაისში

კბილის ექიმი

მ. ი. ბეგიშვილისა

იღებს ავადმყოფებს დილის 9—12 ს. და 1—3 საათამდე. გენერალის ქუჩა, სახლი ბენიამინ ქურთოშვილისა.

კბილის ექიმი

ნ. ტყეშელაშვილი

ოლგას ქუჩა № 31. მიიღებს ავადმყოფებს გედევანიშვილის სამკურნალოში დილის 9—10 საათზე; სახლში 10—4 საათამდე, კვირაობით 10—2-მდე.

ექიმი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა, № 21 სახლი ვაჩნაძისა.

მკურნალი

მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.

ყორღანოვის ქ., № 16, საკუთ. სახ., ტელ. 791.

ექიმი

ვ. დ. ლამბაშიძე

ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს საღამოს 6—7 საათამდე, ნიკოლოზის ქუჩა სახლი № 46.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

19 თებერვალი

შანჰაი. იაპონიის საზღვაო სამხედრო სასამართლომ სცნო, რომ რუსეთის რამდენიმე სავაჭრო გემი იაპონელებს სამართლიანად დაუჭერიათ. საჩივრის შემოსატანად ერთი თვე ვადა მიეცათ. ამ გემებისგან სამმა გემმა დიპლომატიურ მოლაპარაკების შეწყვეტის შესახებ არაფერი იცოდა; ეს გემები ომის გამოცხადებამდე დაიჭირეს.

ვაშინგტონი („რეიტ. სააგ.). გეიმ და რუსეთის ელჩმა მოილაპარაკეს იმის შესახებ, რომ ამერიკული პრესსა რუსეთს მტრულად ექცევაო. ამერიკელთა უკმაყოფილება გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ რუსეთმა ოქტომბერში მანჯურიიდან ჯარი არ გაიყვანა. კასსინიმ განაცხადა, მანჯურიიდან ჯარის გაყვანა შეუძლებელიაო.

ირკუტსკი. 18 თებერვალს ბაიკალის ტბის რკინის გზაზე დაიწყო მიმოსვლა ვაგონებისა, რომლებშიაც ცხენები აბია.

ტოკიო („რეიტ. სააგ.“). კაბინეტის საგანგებო კრება მოხდა. კრებაზე ლაპარაკი იყო იმის შესახებ, თუ როგორ ვიშოვოთ ფული სამხედრო საჭიროებისთვისაო. კაბინეტის მოსაზრება პარლამენტს დასამტკიცებლად წარედგინება. საქმე შეეხება გადასახადის 70 მილიონ იენით გადიდებას; ამას გარდა მიწის გადასახადისა და მაგარ სასმელებსა და თამბაქოზე ბაჟის მომატებას. განზრახულია შემოიღონ რამდენიმე ახალი გადასახადი. იმპერატორის ბრძანებით პარლამენტი 29 თებერვალს შეიკრიბება.

პეტერბურგი. კანონთა კრებულში დაბეჭდილია: შესდგეს აღმოსავლეთ ციმბირის მე-7 და მე-8 მსროლელთა ბრიგადები და შორეულ-აღმოსავლეთში ნამესტნიკის დროებითი შტაბი დაარსდეს.—19 თებერვალს ხელმწიფე დედოფალმა ალექსანდრა თეოდორეს ასულმა და დიდმა მთავრინამ ოლგა ნიკოლოოზის ასულმა დაათვალიერეს დიდის მთავრინის სახელობის სასანიტარო რაზმი, რომელიც 20 თებერვალს შორეულ-აღმოსავლეთში მიდის.

მუკდენი. ბრძოლის ველზე სიწყნარეა.

(სავაჭრო სატელეგრაფო სააგენტოსაგან)

20 თებერვალი

პეკინი. იაპონელების მიერ დაჭერილ გემის „არგუნ“-ის მგზავრებს 3 თებერვალს უნახავთ სასებოში ორის გემის მიერ იქ მიყვანილი დაზიანებული ჯავშნიანი გემი, როგორც ჰგონიათ, „აზუმა“. ამას გარდა იქვე მიუყვანიათ დაზიანებული კრეისერი, რომელსაც არა ჰქონდა საბოლე, ბანი და იალქნის ბოძები.

ჩიფუ. აქ გაიგეს, რომ ვეი-ჰაი-ვეის მახლობლად იაპონიის კრეისერი დაიღუპა. აქედანვე დაუნახავთ, რომ ნავთ-სადგურის მახლობლად იაპონიის ნაღმიანი გემი აფეთქდა.

ირკუტსკი. გუშინ ბაიკალის ტბის ყინულზე გაკეთებულ რკინის გზაზე დატვირთულ ვაგონების მიმოსვლა დაიწყო. გრაფი კუტაისოვი გზათა მინისტრის, თავ. ხილკოვის სანახავად ბაიკალზე წავიდა.

ლონდონი. „დეილი ქრონიკლ“-ს ატყობინებენ, იაპონელებმა პორტ-არტურზე იერიშის მიტანა ორის კვირით გადასდეს; იაპონელები აპირებენ, დალნის მახლობლად ჯერ გადასხან ჯარი, რკინის გზა დაანგრიონ, პორტ-არტურს გზა შეუკრან და სურსათისა და ნახშირის გამოლევით შეასუსტონ რუსები.

ხსა დილის, გენერლებმა ჩანგმა და მამ პროტესტი გამოაცხადეს ჩინეთის ნეიტრალიტეტის გამო და მთავრობას სთხოვეს, იაპონიასთან კავშირი შეკრათო.—ცინვანდაოში იაპონელთა გადმოსხმას ხელი შეუშალა ჩინეთის მთავრობამ, რადგან ეს ნეიტრალიტეტის დარღვევა იქნებაო.

ტოკიოდან იტყობინებიან, რომ კორეისა და იაპონიის 'შორის შეთანხმება მოხდა—დაუყოვნებლივ გაიყვანონ რკინის გზა სეულსა და ინჯუს შუა, თუნდაც სახელმწიფოებმა პროტესტი განაცხადონ.

გაზეთ „სტანდარტ“-ს დეპეშით ატყობინებენ ტოკიოდან, რომ უცხოელ კორესპონდენტებს ნება მიეცათ იაპონიის მხედრობასთან იყვნენ ბრძოლის ველზე; ასეთი ნება მიეცა 2 ინგლისელს, 5 ფრანგს, 2 ამერიკელ და ორ გერმანელ კორესპონდენტს.

სამხედრო-საზღვაო სასამართლო სასებოში ხუთშაბათს გამოაცხადებს განაჩენს დატყვევებულ რუს სავაჭრო გემების შესახებ.

გაზეთ „ექსპრესს“ ატყობინებენ, რომ კორეიაში იაპონელებმა დააარსეს ტყვედ წაყვანილ მეომართა დამხმარებელი ბიურო. განზრახულია, სიები შეადგინონ ხოლმე ორისავე მებრძოლ მხარის ტყვეებისა; სძებნონ მეგობრები, რომელთაც შეეძლებათ დატყვევებულ იაპონელებთან მიწერ-მოწერა იქონიონ, ფული მიაწოდონ და სხვა; თუ რუსეთი თანახმა იქნება, ბიურო რუს ტყვეთაც დაეხმარება, რათა მათაც იქონიონ მიწერ-მოწერა თავისიანებთან

გაზეთ „დეილი ტელეგრაფ“-ი ამბობს, რომ ჩინელების თანაგრძნობა იაპონელებისადმი დღითი-დღე მატულობს.—ამბობენ, იაპონელებმა ჯარი გადასხეს პლასტუნის სრუტეში.

ტიანძინი. გაზეთ „პეკინ-ტიანძინ-ტაიმს“-ის გამომცემელს, ჩინეთის მთავრობის განკარგულებით, აქედან გზავნიან.

ბერლინი. ტოკიოდან იტყობინები რომ იაპონიის პარლამენტში ახლად არჩეულ წევრთა შორის ახალი დეპუტატი ცოტააო.

ინგლისელების ცნობებით, პხიენიანის მახლობლად მცირე შეტაკება მოხდა.

პარიზიდან იტყობინებიან, რომ ჩემულპოში მივიდა იაპონიის გვარდია და მთავარი შტაბიო.

იაპონიის საელჩოს ტოკიოდან ოფიციალურად ატყობინებენ, რომ კორეის ჯარები მართლა არ იღებენ მონაწილეობას ომშიო.

ირწმუნებიან, რომ შეერთებულ შტატებმა გერმანიის თაოსნობით აღძრეს საკითხი ჩინეთში ნეიტრალიტეტის დაცვის შესახებ.

სტოკჰოლმი. იაპონიის საელჩომ გამოაქვეყნა ნოტა, რომელიც ტოკიოდან გამოუგზავნიათ რუსეთის მთავრობის განცხადების პასუხად.

პარიზი. რუსეთ-ჩინეთის ბანკის ადგილობრივ განყოფილებაში შემოსულა შეწირულება რუს დაჭრილთა სასარგებლოდ 360.000 ფრანკი.

ღამის დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

20 თებერვალი

პორტ-არტური. „ნოვი კრაი“-ს კორესპონდენტი ჰფიქრობს, თუ იაპონიას ბედმა უღალატა, კორეიელებს შორის თავიანთ მწვალებელთადმი შურისძიება გაიღვიძებსო.

მუკდენი. ბრძოლის ველზე სიწყნარეა.

ბუხარესტი. გამოცხადდა დეკლარაცია რუმინიის მიერ ნეიტრალიტეტის დაცვის შესახებ.

ლონდონი. ლორდთა პალატა. პარლამენტის მდივანმა პროტიმენმა შეკითხვაზე სთქვა, ინგლისის ფლოტი შორეულ-აღმოსავლეთში შესდგება ხუთ ჯავშნიან გემისა, პირველ ხარისხის ოთხ კრეისერისა, მეორე ხარისხის ოთხ კრეისერისა, მესამე ხარისხის ერთ კრეისერისა, რვა საკანონერო გემისა, ცხრა ნაღმიან გემისა და თორმეტ მდინარის საკანონერო გემისგანო.—მეფე იადნავ გაცივდა.

ვენა. საფუძველს მოკლებულია გაზეთების მიერ გავრცელებული ხმა, ვითომ ავსტრო-ჰუნგრეთი მობილიზაციას ახდენს და ვითომ სამხედრო სამინისტრო თხოულობდეს,

საჩქაროდ შეაიარაღეთ დუნაის ორი გემი და ბუდაპეშტში შეაგროვეთ დუნაის მეხომალდეთა საზოგადოების გემებით.

ტოკიო. ვიკონტი ოკი წავა კორეის, რათა იქ შინაგანი რეფორმები შემოიღოს.

ჩიფუ („რეიტ. სააგ.“). აქ მისული გემი იტყობინება, ჩემულპოსთან იაპონიის ჯავშნიანი გემი დაიღუპაო.

პეტერბურგი. 19 თებერვალს შორეულ-აღმოსავლეთიდან ოფიციალური ცნობა არ მოსულა.

გენერალ-მაიორის ფლუგის დეპეშა: „ამიერ ჯარისთვის საჭიროა საცვალი, პაპიროსი, თუთუნი, ჩექმები, ფესახვევები, ნემსი, ძაფი, ღილები, საპონი, ფოსტის ქაღალდი და კონვერტი. თბილი ტანისამოსი საჭირო არ არის.

(სავაჭრო სატელეგრაფო სააგენტოსაგან)

20 თებერვალი

პეტერბურგი. გენერალ-მაიორი ფლუგი დეპეშით იუწყება, რომ საჭიროა ჯარისთვის: პაპიროსები, თამბაქო, წაღები, საზაფხულო ფეხსახვევები, ნემსები, ძაფი, ღილები, საპონი, ფოსტის ქაღალდი, კონვერტები, თბილი ტანისამოსი საჭირო არ არის.

„ნოვოე ვრემია“-ს ვლადივოსტოკიდან დეპეშით ატყობინებენ: პორტ-არტურიდან მოსულთა აზრით, რომელნიც პირველ საზღვაო ბრძოლებს დაესწრნენ, საზოგადო ზარალი იაპონელთა 18 თებერვლამდე შემდეგია: დაზიანდა 6 კრეისერი, 5 ნაღმიანი ნავი, ჩაიძირა ორი ნაღმიანი გემი, 1 საკანონერო გემი, პორტ-არტურში 5 გემი, ხოლო იაპონიის ზღვაში—ერთი.

პორტ-არტური. 12 თებერვლიდან პორტ-არტურის მახლობლად იაპონელები არა სჩანან. —შორეულ-აღმოსავლეთის გაზეთები „ვარიაგ“-სა და „კორეეც“-ს წერილებს უგზავნიან და რუსეთის მეზღვაურთა თავგანწირვასა და სიმამაცეს აქებენ.—20 თებერვალს „ნოვი კრაი“-ში დაიბეჭდება უმაღლესად დამტკიცებული სია სამხედრო კონტრაბანდისა.—დათბა; გაზაფხული მალე დადგება.

ბლაგოვეშჩენსკი. იაპონელები თავიანთ ნებას საჩქაროდ ჰყიდიან და ირკუტსკში მიდიან.

პოდპოლკოვნიკი ბოგდანოვი ციციკარიდან ამურის გუბერნატორის დეპეშით ატყობინებს, მოხელეები და მცხოვრებნი სრულიად დამშვიდებულნი არიან. ცრუ ამბების გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის ოფიციალურ ამბებს საყოველთაო საცნობლად ჩინურ ენაზე სთარგმნიან.—ბოგდიხანის ბრძანება ნეიტრალიტეტის დაცვის შესახებ ქალაქში გააკრეს; ამ საბაბით ძიანძიუნი უარს ამბობს რუსეთის მთავრობის განცხადებების ქალაქში გაკვრაზე.—პროვინციაში ხუნხუზთა რიცხვი მატულობს.

ლონდონი. ჩიფუში მყოფი „დეილი ტელეგრაფ“-ის კორესპონდენტი ჰფიქრობს, რომ იაპონელები დამკვიდრდებიან იალუში, შეჰკრავენ რკინის გზას და გირინისა და ვლადივოსტოკისაკენ გაიწევენ. ამავე დროს სხვა ჯარი ლიაოდუნში იმოქმედებს. კორესპონდენტი ჰფიქრობს, რომ იაპონიის ფლოტი მალე განაახლებს მოქმედებას და გადასხამს ჯარს ახალს ძლიერსა და სტრატეგიულს ადგილებში. ამ ჟამად 6 კრეისერი 10 სატრანსპორტო გემს ახლავს. ეს გემები ლიაოდუნის ყურეში მიდიან.

ჩემულპოდან დეპეშით იუწყებიან, რომ იაპონიის 9 სატრანსპორტო გემი ცინანპოში მივიდა და მიიტანა სამხედრო სურსათი და იარაღი 15,000 კაცისათვის.

„სტანდარტ“-ს ატყობინებენ: იაპონიის მოხელეებმა განაცხადეს, ჯერ-ჯერობით არა ვფიქრობთ გამოვაქვეყნოთ რაიმე ცნობა საქმის ვითარების შესახებ ხმელეთზე, სადაც თვალსაჩინო შეტაკება სამ კვირაზე ადრე არ მოხდებაო.

საზღვაო სამხედრო სასამართლომ სასებოში დაადგინა, გემები „მუკდენ“, „მიხაილ“, „არგუნ“, „როსსია“, „ნიკოლაი“ და „ალექსანდრ“ იაპონიის სამხედრო დავლად ჩაითვალოსო. სხვა გემების საქმე ჯერ არ გადაწყვეტილა. ზემოხსენებულ დადგენილების განსასაჩივრებლად სასამართლომ ერთი თვის ვადა დასდო.

„მორნინგ პოსტ“-ს ჩიფუდან დეპეშით ატყობინებენ, რომ ჩემულპოს ახლო იაპონიის ერთი ჯავშნიანი გემი გაირიყა.

ჟურნალ-გაზეთებიდან

სამხედრო მოქმედება. „დეილი ნიუს“-ის სამხედრო თანამშრომელი ნორმანი გერმანულ სამხედრო გაზეთების ცნობების თანახმად ანგარიშობს, რომ სამხედრო მოქმედების დაწყების წინ რუსეთს შორეულ-აღმოსავლეთში სულ 133 ათასი ჯარის-კაცი ჰყავდა, 3 მარტისათვის (ახ. სტ.) 158 ათასი ეყოლება, 19 მარტისათვის—183 ათასი, 4 აპრილისათვის—208 ათასი და მხოლოდ 20 აპრილისათვის ეყოლება—233 ათასი ჯარის-კაცი.

გერმანულ სამხედრო ჟურნალ „მილიტერ ვოხენბლატ“-ის ანგარიშით იაპონიას 10 თებერვლამდე ბრძოლის ველზე გადმოყვანილი ჰყავდა—156 ათასი ქვეითა ჯარის-კაცი, 8,850 ცხენოსანი (59 ესკადრონი), 117 ბატარეია—702 ზარბაზანი, სულ 165,880 კაცი („ნ. ვ.“).

„ტაიმს“-ის სამხედრო კრიტიკოსი სწერს: ადმირალი ტოგო 12 თებერვალს იმისთვის დაეცა პორტ-არტურს, რომ რუსის ფლოტს ადმირალ კამიმურასთვის კორეაში ჯარის გადაყვანა ველარ დაეშალა. მალე კორეაში დიდი ამბები მოხდება („ნ. ვ.“).

„რუსკია ვედომოსტი“-ს ბერლინელი კორესპონდენტი იუწყება: იაპონელები ამტკიცებენ, 12 თებერვალს ღამე ჩვენმა სამხედრო ხერხმა გასჭრა, ნაღმით დატვირთული გემები შიგ პორტ-არტურის ნავთ-სადგურის შესავალში ჩავძირეთო, მაგრამ ბერლინის სამხედრო წრეები სხვა-და-სხვა აზრისანი არიან ამ საგანზე. იაპონიის სავაჭრო გემები შავად ყოფილა შეღებილი სამხედრო გემებივით და იერიშის დროს რუსებს საესკადრო ჯავშნიან გემებად ჩაუთვლიათ. ამიტომ ამ იერიშის შემდეგ პორტ-არტურიდან ამბავი მ ვიდა, იაპონელებს ოთხი ჯავშნიანი გემი დაეღუპათო.

ის ცნობა, ვითომ 12 თებერვალს პორტ-არტურთან იაპონიის 4 კრეისერი დაღუპულიყოს, ტყუილი გამოდგა („ნოვ.“).

გერმანულ გაზ. „კელნიშე ცაიტუნგ“-ის სამხედრო მიმომხილველის აზრით, იაპონელებს გოლუბინაია ბუხტაში ჯარის გადაყვანა და პორტ-არტურზე ხმელეთიდან იერიშის მიტანა სწადიანთ. ამას გარდა იაპონელი ადმირალი ცდილობს, რუსის ფლოტს საქმე გაუჭიროს, ნავთ-სადგურიდან გამოსვლა გააბედვინოს და ზღვაში შეებრძოლოს („რ. ვ.“).

ლონდონიდან ატყობინებენ „ნოვოსტი“-ს: ინგლისურ გაზეთებს სარწმუნო ცნობა მოუვიდათ, რომ იაპონია ტალიენვანს ახლო ჯარის გადაყვანას აპირებს და ბეჯითადაც ემზადება ამ საქმისათვისაო. სატრანსპორტო გემები უჟინაში (ხიროშიმოს ახლო) წავლენ ახალ ჯარების მოსაყვანად. ამას იქით ჯარისა და ფლოტის სამოქმედო ბაზრად უჟინა იქმნებაო.

„ტაიმს“-ის სამხედრო მიმომხილველი სწერს: იაპონელები კორეის გარდა ნიუჩუანგსა (ინკოუსა) და პორტ-არტურს ახლოც ეცდებიან ჯარის გადაყვანას; ხსენებული ადგილები ისეთ კარგ ბაზას წარმოადგენენ სამხედრო მოქმედებისათვის, რომ არა მგონია, იაპონელებმა უყურადღებოთ დასტოვონ პორტ-არტური და ინკოუ. ჩრდილოეთ კორეაში იაპონელებს ეხლა კარგა ჯარი ჰყავთ, ამიტომ, ჩემის აზრით, იაპონიის ჯარი აქაც ფიცხად მოიქცევა და ეხლავე მდინარე იალუსკენ გაილაშქრებს, რადგან იქ რუსებს ამ ჟამად გაცილებით ნაკლები ჯარი ჰყავთო.

„დეილი ტელეგრაფ“-ის შანჰაიელი კორესპონდენტი იუწყება: იაპონელები დიდ ჯარს გადაიყვანენ დალნიში (პორტ-არტურს ახლო), კორეის გარდა მანჯურიაშიაც 200 ათასამდე ჯარის-კაცს გადაიყვანენ. ამბობენ, იაპონელები პოსიეტის ნავთ-სადგურშიაც დიდ ჯარს გადაიყვანენ და გირინისაკენ გაილაშქრებენო („ნ. ვ.“).

ინგლისურ გაზეთ „დეილ მეილ“-ის სამხედრო კორესპონდენტი სწერს: იაპონიის ჯარის საკვებ სურსათის საქმე ამნაირადაა მოწყობილიო. ჯარის-კაცებს ბრინჯი და ხორცის კონსერვები ეძლევათ. ხორცის კონსერვი ნახევარ გირვანქიან ჟესტის კოლოფში ინახება. 80 ამნაირი კოლოფი ერთ ყუთშია ჩაწყობილი. ყოველ ბარგის ცხენს ან სამი ამნაირი ყუთი მიაქვს, ან ორი 60 გირვანქიანი ტომარა ბრინჯი. ყოველ ჯარის-კაცს ზედ მიაქვს ორი მოხარშული კვერძი ბრინჯი და ექვსიც მოსახარში. ჯარს ალუმინის პატარ-პატარა ქვაბები აქვს დარიგებული; ყოველ ბატალიონსაც ჟესტის ქვაბი აქვს საჭმლის მოსახარშად („ნ. ვ.“).

ირკუტსკიდან ატყობინებენ „ნოვოე ვრემია“-ს: ციმბირის რკინის გზაზე საშინელი მოძრაობაა. მანჯურიიდან მომავალი მატარებლები ქალებითა და ბავშვებითაა გაჭედილი. პირველ, მეორე და მესამე კლასში რომ ადგილი არა ჰყოფნით, ხალხი მე-4 კლასშიაც კი სხდება. ირკუტსკის ვოგზალში ზოგნი ორ-ორი დღე და ღამე სხედან და ადგილს ვერა შოვობენ, რომ რუსეთს წავიდნენ. უძილობისა და ლოდინისაგან შეწუხებულნი ცვრნი ტირიან კიდევაც. მრავალ ხალხს ფული აკლია და დახმარება სჭირია. ბაიკალის ტბაზე ყინული გასქდა და ერთი მატარებელი ტბის ნაპირს ახლო ყინულ ქვეშ ჩავარდა.

„დეილი მეილ“-ი იუწყება: ინგლისის მთავრობამ თავის კონსულსა და ყველა თავის ქვეშევრდომს უბრძანა, ვლადივოსტოკიდან წამოდითო.

ინგლისის მთავრობამ თავის სამხედრო წარმომადგენლად იაპონიის მებრძოლ ჯარში გენერალ-ლეიტენანტი ნიკოლსონი დანიშნა და ჯამაგირად 2,100 გირვ. სტერლინგი (21 ათასი მანათი) დაუნიშნა. ამას გარდა ნიკოლსონს ყოველ დღე სახარჯოთ 5 გირ. სტერლ. (5 თუმანი) მიეცემა („ნ. ვ.“).

ფელეტონი

ჩვენი ხალხი და ქართულ პრესსის მოვალეობა

მკითხველთა წრე

როგორც მოგეხსენებათ, იმ ნაბეჭდ ფურცლის დასამზადებლად, რომელსაც გაზეთი ეწოდება, საჭიროა ქაღალდი, მელანი, საღებავი, შენობა, მაშინები, ასოები და ბევრი კიდევ სხვა გვარი მოწყობილობა; საჭიროა წერა, ნაწერის დაწყობა-დალაგება და, მაშინის საშუალებით, ქაღალდზე გადაღება. ერთი სიტყვით, როგორც ყოველი ეკონომიური წარმოება, ისევე გაზეთის დამზადებაც მოითხოვს ხარჯს, საჭიროებს შრომას. და, ცხადია, ეს წარმოებაც მხოლოდ მაშინ იქმნება შეუწყვეტელი და მუდმივ შესაძლებელი, როცა დამზადებულ საქონელს გასავალი ანუ ბაზარი აქვს, როცა ნაწარმოებს შემოსავალი მოაქვს და მთელი წარმოება საერთო ხარჯებს მაინც ჰფარავს. ეს აუცილებელი პირობაა ყოველგვარ საბაზრო წარმოებისა და უამისოდ შეუძლებელია ხანგრძლივი და საფუძვლიანი არსებობა გაზეთისაც. როგორც ყველა საქონელს, ისევე გაზეთსაც,—ამ ახალი ამბებისა და აზრების ფაბრიკის ნაწარმოებს,—უნდა ჰყავდეს საკმაოდ თავისი მომხმარებელი და გამსაღებელი, რომ საგაზეთო წარმოებას დაურჩეს ნიადაგი მკვიდრი და მსვლელობა შეუჩერებელი.

რომ ვინმემ ბაზარში რაიმე საგანი იყიდოს და საკუთრებად შეიძინოს, ამისთვის საჭიროა სამი მთავარი პირობა. პირველი: მან უნდა იცოდეს იმ საგნის მოხმარება და პრაქტიკულად გამოყენება. მიკროსკოპში, მაგალითად, უვიცი გლეხი ერთ კაპეიკსაც არ მისცემს, რადგან ამ საგნის მას არაფერი გაეგება. მეორე პირობაა—მოთხოვნილების არსებობა. სკამებს არ იყიდის ისეთი ადამიანი, რომელიც თავის ნაკეთებ ჯორკოთი კმაყოფილდება, ან რომელსაც თავის სახლში სკამები საკმაოდ მოეპოვება; არ შეიძენს, რადგან არა აქვს ამ საგნის მოთხოვნილება. დასასრულ მესამე პირობაა ფული, ნივთიერი შეძლება. რაც უნდა კარგად იცოდეთ ამა თუ იმ საგნის მოხმარება, ძალიანაც რომ გქონდეთ ამისი მოთხოვნილება, ნაწარმოებს, რომელიც თქვენ გსურთ და მოგწონთ, რა თქმა უნდა, ვერ შეიძენთ, თუ არა გაქვთ ამისათვის საჭირო ქონება და ეკონომიური მოხერხება.

სამივე ეს გარემოება მთავარი პირობებია აგრეთვე საზოგადოდ გაზეთის ბაზრისა და საგაზეთო წარმოების შეუჩერებელ მსვლელობისათვის. გაზეთის „მომხმარებელი“ მკითხველია, და, რასაკვირველია, იგი არ გახდება ხელის მომწერი და ამ სახით გაზეთის გამსაღებელი, თუ წერა-კითხვა არ უსწავლია და ენა არ იცის, თუ არ აქვს გაზეთის მოთხოვნილება და ან გაზეთის დასაკვეთად საჭირო ნივთიერი შეძლება.

რას წარმოადგენს ამ მხრით ჩვენი მკითხველი და საერთოდ ქართველ საზოგადოების კულტურული მდგომარეობა? რა ყოფაშია ენა და წერა-კითხვის ცოდნა, ან ქართველის კულტურული საგაზეთო მოთხოვნილება და ნივთიერი შეძლება-მოხერხება?

ქართულ ენის არა სასურველ მდგომარეობის გამო დღეს ჩვენში ბევრი პესიმისტურ აზრებსა და ხან-და-ხან სასოწარკვეთილებასაც ეძლევა. შეგნებულ ქართველის ამგვარ სულიერ მდგომარეობას რამოდენიმედ თავისი მიზეზები და საბუთებიც აქვს. „განათლებული“ ნაწილი საზოგადოებისა, რომელიც სხვაგან დამცველი და ქომაგია სამშობლო ენისა, ჩვენში ზურგს აქცევს დედაენას, ივიწყებს და „საყველპურო“ სალაპარაკოდ ჰპდის მას. ჩვენი უმაღლეს წოდების ყველა ოჯახები რომ დაიაროთ, იშვიათად შეხვდებით მათში ისეთს, რომელიც ჩვეულებრივ ქართულად ლაპარაკობდეს და თავის აზრების გამოსახატავად და სხვისთვის გადასაცემად თავის სამშობლო ენას ხმარობდეს. ყველგან უცხო ენაა ყამეფებული: უცხო ენაზე ლაპარაკობენ, სწერენ და კითხულობენ. აქვე ჩვენში—პეტერბურგში წაუსვლელად—მათი გონება პატარაობიდანვე სხვა ენას შესჩვევია და შესთვისებია. რასაკვირველია, ამ მოვლენას თავისი მიზეზები აქვს, რომელთა ახსნა-გარკვევას ჩვენ აქ ვერ გამოვუდგებით, მხოლოდ თვით ფაქტი მაინც ფაქტად რჩება და მისი არ დანახვა და ხელის დაფარება დღეს აღარ შეიძლება. ჩვენი მაღალი არისტოკრატია ქართულ პრესსას არ ეტანება, უფრო უცხო გაზეთებს იწერს და კითხულობს, და თუ აქა-იქ ზოგიერთი მათგანი ქართულსაც არ ივიწყებს და იბარებს, თვითონ მაინც არ კითხულობს, არამედ ლაქიას აძლევს და თავის ქვეყნის ამა თუ იმ ამბავს შემდეგ მოსამსახურისაგან იგებს.

არ შეიძლება ითქვას, რომ ვითომ ეს წრე ჩვენი საზოგადოებისა გონებით ისე მაღლა იდგეს ან ქართული პრესსა ისე უძლური და მდარე იყოს, რომ მის მოთხოვნილებას ვერ დააკმაყოფილებდეს. ქართული გაზეთი თავისი ღირსებით ზოგიერთ ადგილობრივ რუსულ გამოცემებს მაინც არ ჩამოუვარდება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იმ წრეში რუსულ გაზეთებს ქართულზე მეტი ბინა და გასავალი აქვს. და ეს კი იმას მოასწავებს, რომ ამ კატეგორიის ქართველობას უცხო ენაზე კითხვა და ნაკითხის შეთვისება უფრო ეხერხება და ეადვილება.

თითქმის ასევე კოჭლობს ქართული ენისა და პრესსის პატივისცემა ჩვენს „ინტელიგენციაშიაც“. ეს საზოგადოებრივი ჯგუფი არ წარმოადგენს განსაზღვრულ წოდებას ან კლასს და ამიტომ მას არა აქვს ერთი საერთო ფერი და მიმართულება. ამ ჯგუფში თავს იყრიან ხალხის ყველა კლასთა წარმომადგენელნი, რომელთაც, ავად თუ კარგად, განათლება მიუღიათ და ესრედ წოდებული გონებრივი მუშაობა თავის ხელობად გაუხდიათ. რასაკვირველია, ყოველი მწერალი ან ჟურნალისტი, რომელიც მუშაობს პრესსაში და ეხმარება სამშობლო მწერლობის განვითარებას, თვითონ ინტელიგენციის წრისაა, ე. ი. გონებრივი შრომის წარმომადგენელია, მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ საერთოდ ინტელიგენცია დაახლოვებული და დაკავშირებული იყოს პრესსასთან. ინტელიგენციის le gros,—უმრავლესობა ისეთსავე განწყობილებასა და ურთიერთობაშია ჟურნალ-გაზეთობასთან, როგორადაც სხვა მკითხველი საზოგადოება. თუ უმრავლესობას მივიღებთ მხედველობაში, ინტელიგენციას იმდენად აქვს პრესსისთვის მნიშვნელობა, რამდენადაც იგი, გაზეთის გამოწერით და ბეჭდვითი სიტყვისთვის ყურადღების მიქცევით, აძლევს გაზეთს ნივთიერ ძალას და ზნეობრივ დახმარებას.

მაგრამ საქმეც ისაა, რომ ქართველ ინტელიგენციაში ქართული პრესსა შედარებით სუსტ ნიადაგს პოულობს და ვერ ვრცელდება. ამისი მიზეზია, ერთის მხრით, ქართული ენის სუსტი ცოდნა და, მეორე მხრით, თვითონ „ინტელიგენტობა“. პატარაობიდანვე ჩვენი მოზარდ თაობის აღზრდა ასეთ პირობებსა და გარემოებაში ჩაყენებული, რომ

„კელნიშე ცაიტუნგ"-ი იუწყება: ტოკიოში 40 კორესპონდენტი, მეტ ნაწილად ინგლისელი და ამერიკელი და ცოტა გერმანელი, მთავრობის ნებართვას ელის, რომ ბრძოლის ველზე წავიდეს. ეხლა იაპონია მალე გაათავებს საიდუმლო სამხედრო მოქმედებას და კორესპონდენტებიც ბრძოლის ველზე წავლენ. აქამდე ბრძოლის ველზე მხოლოდ ორი კორესპონდენტი იყო: „დეილი მეილ"-ისა და „ტაიმს"-ისა; მხოლოდ ამათ შეეძლოთ სამხედრო მოქმედების ნახვა („რ. ვ.").

„დეილი ტელეგრაფ"-ის შანხაელი კორესპონდენტი იუწყება: 9 თებერვალს ჩინელმა მოხელემ მუკდენიდან შეგვატყობინა, მანჯურიაში ჩინელმა ცხენოსნებმა ექვსი რაზმი შეადგინეს. ეს რაზმები რკინის გზას ანგრევენ, ტელეგრაფის მავთულს სწყვეტენ, სანოვაგის ქარავნებს იჭერენ და სხვა. როცა იაპონიის ჯარი მოვა, ეს რაზმები იაპონელებს შეუერთდებიანო.

ერთს რუსის გენერალს ფრანგულ გაზ. „მატენ"-ის თანამშრომლისათვის უთქვამს ხარბინში: იმედი მაქვს, ომი ზაფხულის გასულს გათავდება. მიკვირს, საიდან აქვთ იაპონელებს გამარჯვების იმედი. ჩვენ ეხლავე მეტი ჯარი გვყავს. რუსეთიდანაც ბევრი ჯარი მოდის. ყოველ დღე 2500 კაცი გვემატება. ბოლოს იაპონელებს უსათუოდ ზღვაში გადავყრითო („პეტ. ვედ.").

ერთს ინგლისელ სახელმწიფო კაცს უთქვამს „ფიგარო"-ს ლონდონელ კორესპონდენტისათვის: „გნებავთ, ჩემი აზრი გაიგოთ რუსეთ-იაპონიის ომზე? დარწმუნებული ვარ, რომ იაპონია თავის ძლიერ ფლოტის მფარველობით დიდძალ ჯარს გადაიყვანს კორეიაში. სამის-ოთხის კვირის შემდეგ ყველაფერი გამოირკვევა. მაშინ გავიგებთ, რომ 100—150 ათასი ჯარის კაცი მანჯურიისაკენ გაილაშქრებს. იაპონელები, ეტყობა, პირველად მუკდენის აღებას ეცდებიან. მერე რა მოხდება, ეს მეტად ძნელი სათქმელია. მოვიცადოთ და ყველაფერს გავიგებთ." („პეტ. ვედ.").

საუბარი კურინოსთან: იაპონიის ელჩს ბ-ნ კურინოს შვეციაში შვედურ გაზეთების თანამშრომლებთან უსაუბრნია და ყველა კითხვაზე დაწვრილებით დალაგებული პასუხი მიუცია. გაზ. „დაგენ"-ის თანამშრომლისათვის კურინოს უთქვამს:

„თქვენ მკითხავთ, კარგად მოემზადენით საომრად, თუ არაო? რასაკვირველია, ჩვენ მზადა ვართ, მაგრამ გარწმუნებთ, რომ ბოლოს დროს ორის გემის („ნისინისა" და „კასუგის") გარდა, სხვა არა გვიყიდნია რა და განგებ ომისთვის არა გაგვიჩენია რა. ომი სულაც არ გვინდოდა. სისხლის ღვრა არც ერთს ერს არა ჰსურს, მაგრამ, რას იზამთ, ომი ყველასათვის აუცილებელი ჭირია. ვისაც ომის აცილება უნდა თავიდან, უსათუოდ საომრად უნდა მოემზადოს. ამაზე უკეთესი წამალი მშვიდობიანობის დასაცველად ჯერ არ მოუგონიათ".

გაზეთის თანამშრომელს უკითხავს: მართლა, იაპონელებმა კარგად იციან რუსეთის ჯარის ძალა, იმისი სამხედრო პლანი და სხვა საიდუმლოებიო. კურინოს მიუგია: დიახ, ცოტ-ცოტა ყველაფერი ვიცითო. ამის შემდეგ იაპონელ დიპლომატს ის უთქვამს, რასაც ეხლა ყველანი ამბობენ: ამას იქით რუსები ზღვაზე წინააღმდეგობას ველარ გაუწევენ ჩვენს ფლოტსაო.

— ხმელეთზე როგორღა წავა საქმე? უკითხავს მოსაუბრეს.

პირდაპირ პასუხის მაგივრად ელჩს ასე უპასუხნია:

— რუსეთის მთავრობის განცხადება არ წაგიკითხავთ განა? იქ რუსეთის მთავრობა თითონვე პირდაპირ აცხადებს, ჯერ კარგა ხანი გაივლის, სანამ რუსეთის ჯარი ხმელეთზე სახელოვნად გაიმარჯვებსო. მეც სრულიად ვეთანხმები ამ აზრს.

მოსაუბრეს უკითხავს: ამბობენ, როცა იაპონიის ფლოტი რუსეთის ფლოტს გაანადგურებს, ბალტიის ზღვაში შემოვა და რუსეთის ნავთ-სადგურებს დაეცემაო. შვეციასა, ნორვეგიასა და დანიას ასეთმა ხმამ სწორედ შიშის ზარი დასცა. ელჩს უპასუხნია: ეგ ცოცხალი ტყუილია, ლაპარაკადაც კი არა ღირს. ჩვენ მარტო შორეულ-აღმოსავლეთში ვომობთ. ევროპაში სამხედრო მოქმედების გადატანა რა ხელს მოგვცემს?

— ომში რომ სხვა სახელმწიფოებიც გაერივნენ?

— გარწმუნებთ, საქმე ისე მიდის, რომ სხვა სახელმწიფოები საქმეში არ გაერევიან. ჩვენ მეტად გვეწყინება, თუ სხვა სახელმწიფოები საქმეში გაერევიან. ჩვენ გვინდა, რომ რუსეთს მარტოდ-მარტო სხვისა დაუხმარებლად გავუმკლავდეთ.

— არც ჩინეთი გაერევა საქმეში?

— არა მგონია, არც ჩინეთის დახმარება გვინდა.

— ჩვენში ძლიერ შიშობენ, ვაი თუ ომი სკანდინავიის ნაპირებსაც მოედოს და ჩვენი ნეიტრალიტეტი დაირღვესო.

— ვიმეორებ, ჩემის აზრით, სხვა სახელმწიფოები საქმეში არ გაერევიან და ამიტომ სკანდინავიის მშვიდობიანობას არაფერი საფრთხე არ მოელის („პეტ. ვედ.").

გერმანია და რუსეთი. გერმანული გაზ. „ნორდდაიჩე ალგ. ცაიტუნგ"-ი (კანცლერ ბიულოვის მომხრე გაზეთია) სწერს: ფრანგული პრესა ამტკიცებს, იმპერატორ ვილჰელმს მეტად ეშინიან ყვითელ საფრთხისა, ამიტომ, იმედია, გერმანია დახმარებას გაუწევს რუსეთსაო. ესეთი აზრი და იმედი არაფერზე არაა დაფუძნებული. გერმანია ეხლანდელ ომის დროს ნამდვილად მტკიცე ნეიტრალიტეტს დაიცავს. გერმანია ყოველთვის მართალ, სწორე პოლიტიკას მისდევდა და გაიძვერულად არას დროს არ მოქცეულა. ამბობენ, ჩვენი პოლიტიკა რუსეთს ცალკე იმედს ულვიძებს, ცალკე აშინებსო. იქნება იმპერატორი შორეულ-აღმოსავლეთის საქმეში რუსეთს დაეხმაროს, რადგან ყვითელ მოდგმის გაძლიერებისა ეშინიან, მაგრამ თუ რუსეთს ოსმალეთთანაც ომი მოუხდა, —ბევრს ეს ომი აუცილებლად მიაჩნია—აქ კი გერმანია ოსმალეთს გაუწევს დახმარებასაო. ეს სულ ტყუილი მოსაზრებაა. გერმანია ოსმალეთის გულისთვის ომს თავის დღეში არ დაიწყებს, ჩვენ მხოლოდ იმასა ვცდილობთ, რომ ახლო აღმოსავლეთში მშვიდობიანობა არ დაირღვეს; სხვა რამ ფიქრი ჩვენ გუნებაშიაც კი არ გაგვიტარებია. რუსეთ-იაპონიის ომის დროს გერმანია, ვიმეორებთ, იაპონიას ყველაფერში წესიერად, კანონიერად მოექცევა და ნეიტრალიტეტს არაფრით არ დაარღვევს. ბოლოს იმპერიის კანცლერის გაზეთი ამტკიცებს, ინგლისი და საფრანგეთიც ამნაირ პოლიტიკას ადგანან და ყოველნაირად ეცდებიან, რომ ყველა დიდმა სახელმწიფომ ნეიტრალიტეტი მტკიცედ დაიცვასო („მ. ვ.").

საფრანგეთი და რუსეთი. „ჰავასის სააგენტო" იუწყება: ერთმა ფრანგულმა გაზეთმა დასწერა, ვითომ საფრანგეთის გარეშე საქმეთა მინისტრი დელკასე ეხლა რუსეთ-საფრანგეთის კავშირის დარღვევასა და მოშლას ცდილობდეს. რუსეთის მთავრობამ მაშინვე დაარღვია ფრანგულ გაზეთის ცნობა: რუსეთის ელჩსა და დელკასეს ურთიერთობა არას დროს არა ყოფილა იმაზე უკეთესი და ნდობით სავსე, როგორიც ეხლაა. ხსენებულ გაზეთის ცნობა არაფერზე არაა დაფუძნებულიო.

საფრანგეთის საზღვაო მინისტრმა პელტანმა გამოუცხადა პალატის საბიუჯეტო კომისიას: შეუძლებლად მიმაჩნია, რომ რომელსამე სახელმწიფოსთან შეტაკება მოგვივიდეს, მაგრამ ჩვენი ფლოტი მაინც მზადაა ყოველ შემთხვევისათვისო. ჩემი მოვალეობა რიგზე შევასრულე და საფრანგეთსა თუ კოლონიებში (შორეულ-აღმოსავლეთში) ისე გავამაგრეთ ჩვენი ციხეები, რომ რესპუბლიკის სამფლობელოზე დაცემას ვერავინ გაჰბედავს. რასაკვირველია, საფრანგეთის ფლოტი შორეულ-აღმოსავლეთში ინგლისის და იაპონიის ფლოტს ვერ შეედრება, მაგრამ ჩვენ ინდო-ჩინეთის კოლონიაში უცხო ჯარის გადმოყვანა მაინც შეუძლებელია („ნ. ვ.").

რუსეთის პრესსა რუსეთ-იაპონიის ომის შესახებ

გუშინ „პეტერბ. ვედ."-ში წავიკითხეთ ბ-ნ სალომინის წერილი, რომელიც თუმცა ახლანდელ ომს არ შეეხება, მაგრამ მაინც საინტერესოა, როგორც დამახასიათებელი ერთის მებრძოლის მხარისა.

წერილის ავტორს მოჰყავს წარსულ საუკუნის ცნობილ რუს მოგზაურის ვ. მ. გოლოვნინის აზრი იაპონელების შესახებ. გოლოვნინი 1811 წელს (თითქმის ერთის საუკუნის წინად) იაპონელებმა დაატყვევეს და მხოლოდ ორის წლის შემდეგ გაანთავისუფლეს. რამდენისამე ხნის შემდეგ გამოვიდა გოლოვნინის წიგნი იაპონიაზე, რომელიც უცხოელ ენებზედაც გადაითარგმნა, რადგან მშვენიერსა და ყოველ მხრივ აღწერას წარმოადგენდა მაშინ ნაკლებად ცნობილის ქვეყნისას. ამ წიგნში, სხვათა შორის, ყოფილა საინტერესო შენიშვნა იაპონიის მომავალზე და სწორედ ეს შენიშვნა მოჰყავს „პეტერბ. ვედომ."-ში ბ-ნ სალომინს. აი, რასა სწერდა გოლოვნინი:

იაპონიის მთავრობას ჰსურს, მისი ხალხი კმაყოფილდებოდეს ისევ იაპონურის განათლებით, ეროვნულის მეცნიერებითა და სხვებისაგან არაფერი შეითვისოს; ეს სურვილი იმით აიხსნება, რომ იაპონიის მთავრობა შიშობს, უცხოელ მეცნიერებასთან ერთად გარყვნილებაც არ შემოვიდესო. ღმერთს უნდა ვმადლობდეთ ჩვენ, რუსები და ყველა ევროპიელნიც, რომ იაპონიის მმართველთ ასეთი კეთილი აზრი და სურვილი აქვთ; უნდა ვეცადოთ, რომ იაპონელებმა ეს აზრი არ გამოიცვალონ და ევროპის განათლების შეთვისება არ მოისურვონ. თუ ამ ჭკვიან, ნიჭიერ, შრომის მოყვარე და მრავალ-რიცხოვან ერს ისეთი გენიოსი ხელმწიფე გაუჩნდა, როგორიც ჩვენი პეტრე დიდი იყო, იაპონია სულ მოკლე დროში მთელის შორეულ-აღმოსავლეთის ბატონად გადაიქცევა. რაღა გვეშველება მაშინ რუსეთისა და ამერიკის სამფლობელოებს აღმოსავლეთის ოკეანეს აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაპირებზე?!

მას არ აქვს შეძლება ცოდნა სამშობლო ენაზე შეიძინოს და გონებრივი მსჯელობის პროცესი ბუნებრივს ნიადაგზე განავითაროს. მას სჩემდება „ორთავიანობა", რომელიც თავის დაღს ასვამს მის აზროვნებას და გონებრივ შემეცნებას. დაბით საგნებზე ლაპარაკი ქართველ ინტელიგენტს, შეიძლება ვთქვათ, დედა-ენაზე უფრო ეხერხება, მაგრამ როგორც კი საქმე მსჯელობასა და ნაწერის გაგებაზე მიდგება, იგი ირჩევს უცხო ენას, რომელზედაც მიუღია აღზრდა და განათლება. ეს გარემოება ხელს უწყობს, რა თქმა უნდა, რომ ჩვენი ინტელიგენცია ეროვნულ პრესსას დაშორდეს და უფრო უცხოს დაუახლოვდეს.

გარდა ამისა თვითონ განათლება, დიდ ხანს გონების ვარჯიშობა და შედარებით ბევრი ცოდნის შეძენა აშორებს ინტელიგენტს ქართულ გაზეთს და საერთოდ ქართულ მწერლობას. კაცი, რომელიც 20—25 წელიწადს სულ სწავლაშია, დაბოლოს გონებრივ არისტოკრატიზმის წარმომადგენელი ჰხდება, რომელსაც ის ველარ აკმაყოფილებს, რითაც კმაყოფილდება მკითხველთა უმრავლესობა. ის თეორიული აზრი, რომელსაც ადგილობრივი პრესსა და მწერლობა გამოსთქვამს, მას ევროპის ან რუსეთის მწერლობაში უკვე წაკითხული ან გაგონილი აქვს. ამიტომ ეროვნულ მწერლობას მისთვის, სხვა-და-სხვა საზოგადოებრივ საკითხების გარჩევა-გარკვევის მხრით, ეკარგება თეორიული ინტერესი და მიმზიდველობა. ხოლო ჩვენში ჯერ ისეთი გონებრივი ძალა და კულტურული ნიადაგი არაა, რომ ქართულ პრესის იმ დონეზე დაყენება შეიძლებოდეს, რომელზედაც დგას დღეს პრესსა ევროპასა და გინდ რუსეთის სატახტო ქალაქებში.

ამ სახით, როგორც ხედავთ, თანამედროვე აღზრდის წესი და ქართული ენის მივიწყება შესამჩნევად აბრკოლებს ქართულ პრესსის განვითარებას და გაძლიერებას. და ჩვენ ფიქრად არ მოგვდის უარვყოთ ან შევამციროთ ხსენებულ მიზეზთა გავლენა და მნიშვნელობა. მაგრამ შეცდომა და გადაჭარბება იქნება, რომ ის თვისება, რომელიც ამა თუ იმ პატარა წრეს ემჩნევა, ჩავთვალოთ საერთო მოვლენად და მთელი ხალხის დამახასიათებლად. მართალია, სწავლა-აღზრდის წესი, როგორც ვთქვით, ხელს არ უწყობს ხალხში ქართული ენის შესწავლას და განმტკიცებას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ბუნებრივი მოთხოვნილება მაინც თავისას შვრება და ქართველი ხალხი დღესაც მტკიცედ ადგია თავის ენას. ყველანი ვამჩნევთ, რომ ქართული წიგნი და წერა-კითხვა ხალხში თანდათან ფეხს იდგამს და ვრცელდება. ვრცელდება იმიტომ, რომ იგი შეადგენს მის აუცილებელ საურთიერთო საშუალებას ოჯახში და თავის თანამოძმეთა საზოგადოებაში. ქართული ენა ერთად-ერთი გზა და სახსარია დაბით, მშრომელ ხალხისათვის ცოდნის შესაძენად, თავის აზრის გამოსახატად, მეზობელთან მოსარიგებლად და მოსაწყობად. ამიტომაც იგი დაბრკოლებას არ უშინდება და ხელის შემშლელ გარემოებაშიაც სწავლობს წერა-კითხვას და ეჩვევა ჟურნალ-გაზეთობას. ჩვენ ბევრი ვიცით ისეთი მაგალითები, რომ წერა-კითხვის არ მცოდნე ახალგაზდას, რომელიც ჯარის კაცად წაუყვანიათ და რუსეთში გაუბარგებიათ, იქ ამხანაგისგან ქართული წერა უსწავლია და მშობლებისთვის ორი თვის შემდეგ ქართულად ბარათი მოუწერია. ახევე ხშირად სწავლობს წერა-კითხვას უკვე მოზრდილი გლეხი ქალაქში მუშაობის დროს თავის ამხანაგებისა და ნაცნობებისაგან. და რაც დრო მიდის, იმდენად ეს მისწრაფება და მეცადინეობა იზრდება და თანდათან უფრო ძლიერი ჰხდება. ხალხის უვიცობა ისე საერთო, დიდი და უძლეველი აღარ არის დღეს, რომ ამ მიზეზით შეიძლებოდეს ვთქვათ: პრესსას ჯერ ჩვენში ნიადაგი არა აქვს და შესამჩნევად ვერ გავრცელდებაო. გადაჭარბებული პესიმისტობა აქ ყალბიცაა და მავნებელიც.

ის ეკონომიურმა ცვლილებამ, რომელიც განიცადა ჩვენმა ცხოვრებამ ამ უკანასკნელ ხანებში, თვისი გავლენა იქონია ხალხის გონებრივ მოთხოვნილებათა ზრდაზე და კულტურულ განვითარებაზე. რამდენადაც კარ-ჩაკეტილი მეურნეობა ირღვევა და მოქალაქობრივობა იზრდება, იმდენადვე მჭიდრო ჰხდება ადამიანთა დამოკიდებულება და ხშირი აზრ-შეხედულების გაზიარება,—„გონებრივი აღებ-მიცემობა". სამოქმედო ასპარეზის გაფართოვებას თან მოსდევს ხოლმე გონებრივი მხედველობის გაფართოვება, ცნობის მოყვარეობის გადიდება და იდეურ ინტერესის გაძლიერება. ქართველ სოფლელს ახლა აინტერესებს არა მარტო ის, რაც მის სოფელშია, არამედ ისიც, რაც სოფელს გარედაა და სხვა მხარეს შეეხება. ეკონომიური მოქმედება და არსებობისთვის ბრძოლა ამ ახალ დროში თხოულობს მეტ ცოდნას, დაკვირვებას და გამოცდილებას და ყველა ამის შეძენას ხელს უწყობს ბეჭდვითი სიტყვა და საერთოდ მწერლობა. დღეს მთელი დედა-მიწა რკინის გზის ლიანდაგითა და ტელეგრაფის მავთულითაა მოფენილი. რაიმე ამბავი ან აღმოჩენა რომელიმე მხარეში უცებ მთელ ქვეყანას მოედება და მოეფინება. ერთი ხალხის სწავლა და გამოცდილება ელვის სისწრაფით სხვა ხალხებშიაც ვრცელდება და კაცობრიობის საერთო მონაგარი ჰხდება. ასეთ პირობებში არც ერთი ხალხს აღარ შეუძლია კარჩაკეტილად ცხოვრება და სხვებისაგან სქელი კედლით განცალკევება. როცა ხალხში ფეხს იკიდებს შრომის განაწილება, იწყება საზოგადოებრივ ჯგუფთა შეგნებული ცხოვრება და მათი ურთიერთ შორის ეკონომიური წინააღმდეგობა, ძლიერდება მიმოსვლა, ბაზრის ძებნა და აღებ-მიცემობა, ერთის სიტყვით, როცა ვითარდება მოქალაქობრივობა და რთული საზოგადოებრივი ურთიერთობა, მაშინ ძველებურ გონებრივ ინდიფერენტიზმს ნიადაგი ეკარგება და გონებრივს მხედველობას სივრცე უფართოვდება.

ასეთი განვითარება კაი ხანია ჩვენში დაწყებულია და ამის გავლენით ჩვენი ხალხის კულტურული მოთხოვნილებაც შესამჩნევად ამაღლებულია. პრესსის ნიადაგისა და მკითხველთა ფართო წრის მოსაპოებლად მასში არის უკვე დღეს საკმაო წერა-კითხვის ცოდნაც და კულტურული მოთხოვნილებაც. ქართულ პრესსას ნიადაგი აქვს არა არისტოკრატიაში ან ინტელიგენციაში, არამედ თვით მშრომელ ხალხში,—ერის უმრავლესობაში. პრესსა მოიპოვებს მეტ გავლენას და ცხოველ-მყოფელობას, როცა იგი ამ მშრომელ ხალხს დაუახლოვდება, მის მდგომარეობას და მისწრაფებას სავსებით შეიგნებს და ამ გზით შეიქნება თავის მკითხველების საჭიროებათა გამომხატველი და მათ ინტერესთა მომხრე-დამცველი.

მკითხველებთან ამგვარ მჭიდრო დამოკიდებულების გაბმა და მათთვის შეგნებულად შრომა-მოღვაწეობა ნიშნავს პრინციპების შემუშავებას და პრესსის განსაზღვრულ მიმართულებას.

შემდეგ წერილში ჩვენ მოვილაპარაკებთ ამ პრინციპებსა და მიმართულებაზეც.

ფ. გოგიჩაიშვილი

ვერც რუსეთი და ვერც ამერიკა ვერ შესძლებენ ამ შორეულ ქვეყნების დაცვას გაძლიერებულ იაპონელებისაგან.

თუ იაპონიამ შეითვისა ევროპის კულტურა და პოლიტიკა, ჩინეთიც იძულებული შეიქმნება მის მაგალითს მიჰბაძოს. ამ შემთხვევაში, ეს ორი ერი შესძლებს ევროპის საქმეებს სულ სხვაგვარი მსვლელობა მისცეს. თუმცა იაპონელებსა და ჩინელებს სძულთ ყოველი უცხოელი, ყველაფერი სხვისი, მაგრამ, ვინ იცის, ადამიანთა ცხოვრებაში სამუდამო არაფერია და, შესაძლებელია, ამათაც ოდესმე შეიყვარონ ევროპიელთა კულტურა. შესაძლებელია ისიც, რომ უკიდურესმა გარემოებამ აიძულოს ჩინელებიცა და იაპონელებიც და სხვისი კულტურა შეათვისებინოს. მაგალითად, მეზობელ ერთა თავდასხმამ თუ საქმე გაუჭირა მათ, შესაძლებელია დაფიქრდნენ და შეიგნონ, რომ უცხოელთა თავიდან მოსაშორებლად მათისავე იარაღით უნდა აღვიჭურვოთო. მაშინ იაპონელები გაიჩენენ სამხედრო გემებს და სხვა ევროპიულ ღონისძიებათ, ადამიანთა ამოწყვეტისათვის მოგონილთ. მასწავლებლებსაც ბევრს იშოვნიან, თუ ევროპას მიჰმართავენ. ამიტომ, ჩემის ფიქრით, არ უნდა შევაწუხოთ და გავაღიზიანოთ ეს პატიოსანი და მართალი ხალხი... მე არ ვამბობ, რომ იაპონელებს არ შეუძლიათ დღესვე გაევროპიელდნენ და ჩვენთვის საშიშ მეზობლებათ შეიქმნენ, მაგრამ შესაძლებელია ადრე თუ გვიან ასე მოხდეს...

ბ-ნ სალომინს მოჰყავს ეს შენიშვნა და თავის მხრით დასძენს: ამ ჟამად ეს უკვე აღსრულდა! იაპონელები გაევროპიელდნენ და საშიშარ მეზობლებად გაგვიხდნენ.

ახალი ამბავი

◆ ამიერ-კავკასიის საერობო თანხიდან **სახალხო განათლებისთვის** წლეულს გადადებულია 120,957 მანეთი. ეს ფული ასეა განაწილებული: 74,895 მანეთი—საერო განათლების სამინისტროს სკოლებს; 17,300 მანეთი—სამრევლო-საეკლესიო სკოლებს; 6000 მანეთი—ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო სკოლას; 12,698 მანეთი—სოფლის ნორმალურ სკოლების შენობების დასაქირავებლად, გასათბობად და გასანათებლად; 10,064 მანეთი—ტფილისის საფერშლო სკოლის (მიხეილის სამკურნალოსთან) შესანახად.

◆ **სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების** საბჭომ უკვე შეადგინა ანგარიში საზოგადოების მოქმედებისა 1903 წელს. როგორც ამ ანგარიშიდანა სჩანს, შარშან საზოგადოების შემოსავალი ყოფილა 12,600 მან. აქედან საბჭოს დაუხარჯავს გაზეთის გამოსაცემად 3259 მან., საბაღოსნო სკოლისთვის შემწეობა აღმოუჩენია 3417 მან., მოხელე-მოსამსახურეთა შესანახად 2220 მან. და სხვა. სულ დახარჯულა 11,047 მან. 15 კაპ.

◆ პეტერბურგში არსებობს რუსეთის ვაჭრობისა და მრეწველობის დამხმარებელი საზოგადოება. 12 თებერვალს, როგორც „რუს“-ი გადმოგვცემს, ამ საზოგადოებაში ბ-ნ ემერიკს წაუკითხნია მოხსენება **შავი-ქვის მრეწველობის** შესახებ. კრებას ხანგრძლივ კამათის შემდეგ უცვნია, რომ შავი-ქვის საქმეების წარსამატებლად საჭიროა ტარიფის დაკლება ჭიათურის შტოზე; ამიტომ დაუდგენია, იშუამდგომლოს ამის შესახებ. ამას გარდა კრებას გადაუწყვეტია, აირჩიოს კომისია, რომელმაც უნდა შეიმუშაოს საშუალებანი მრეწველობის ამ დარგის გასაწესრიგებლად.

◆ ამიერ-კავკასიის **რკინის გზის** გამგეობას, გზათა სამინისტროს მოთხოვნილებისამებრ, შესაძლებლად უცვნია ზოგიერთ სამუშაოებისა და საქმეების დროებით გადადება. როგორც „ნოვ. ობ.“ გადმოგვცემს, შესაძლებელი ყოფილა დროებით გადაიდოს 1,535,700 მანეთის სამუშაო.

◆ 26 თებერვლისთვის დანიშნულია **წლიური კრება** კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებისა. კრებამ უნდა განიხილოს მიმდინარე წლის შემოსავალ-გასავლის სავარაუდო აღრიცხვა, ტფილისის საბაღოსნო სკოლის შემოსავალ-გასავლის აღრიცხვა; უნდა აირჩიოს „სამეურნეო გაზეთის“ სარედაქციო კომისიის წევრნი, უნდა განიხილოს მოხსენება საბჭოსი ტფილისის საბაღოსნო სკოლის გამგედ ხუნდაძის დამტკიცების შესახებ და სხვა.

◆ 19 თებერვალს სხდომა ჰქონია კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს. საბჭომ, სხვათა შორის, განიხილა საზოგადოების ამა მიმდინარე წლის **შემოსავალ-გასავლის აღრიცხვა**. წელს საზოგადოება მოელის შემოსავალს 19,657 მან. 69 კაპ. ხარჯი იქნება 15,484 მან. 44 კაპ.

◆ ხვალ, 22 თებერვლისათვის, დანიშნულია კრება ტფილისის **დურგალთა ამხანაგობისა** გამგეობის თავმჯდომარის, გამგეობისა, სარევიზიო კომისიისა, დამფასებელ კომისიისა და საზოგადოების ახალ წევრთა ამოსარჩევად.

◆ **ქალაქი ბათუმი** წელს, როგორც უკვე შედგენილ სავარაუდო აღრიცხვიდანა სჩანს, შემოსავალს მოელის 417,409 მან. 65 კ., ამდენიც ხარჯი იქნება.

◆ რედაქციამ მიიღო ახალი წიგნი „ჩონგური, სამტერ-მოყვრო კრებული“, შედგენილი და გამოცემული თ. მაგმაძის მიერ. ფასი ერთი შაური.

◆ ტფილისის ვაჟთა მეორე გიმნაზიის სალიტერატურო-სამუსიკო დილაზე, რომელიც 19 თებერვალს გაიმართა, ჯილდოები მიიღეს შემდეგმა ქართველმა მოწაფეებმა; ვერცხლის მედალი—ტატიშვილმა ანდრიამ; ქების ფურცელი: გ. ასათიანმა, ნ. გიყიმერელმა და ს. მესტიშვილმა. მეორე ხარისხისა: კ. ჯავრიშვილმა, ნ. მუსხელაშვილმა, ბ. ბერაძემ, კ. მედვინეთხუცესშვილმა, შ. კარბელაშვილმა, ა. მუსხელაშვილმა, დ. მხეიძემ, გ. ნემსაძემ, გ. ავალიანმა, ი. არჯევანიძემ, გრ. გორგაძემ, გ. ფაღავამ, გ. სესიევმა, ვ. ხვედელიანმა და ი. იაშვილმა.

◆ 22 თებერვლისთვის დანიშნულია წლიური კრება ქაღალდების გადამწერთა ურთ-ერთ დამხმარებელ საზოგადოებისა. კრებამ უნდა განიხილოს წარსულის წლის ანგარიში, ამა მიმდინარე წლის შემოსავალ-გასავლის აღრიცხვა და ამოარჩიოს საზოგადოების თანამდებობის კაცნი.

◆ გუშინ ტფილისის ბირჟის მეეტლეებმა, ასე 50 კაცმა, საერთო თხოვნა გადასცეს ქალაქის გამგეობას. მეეტლეები თხოულობენ, ედროვოთ გადასახადების შეტანა ქალაქის კასაში აპრილის პირველ რიცხვებამდე. მეეტლენი თავიანთ თხოვნაში სწერენ, წელს ისეთი ცუდი შემოსავალი გვაქვს, რომ ცოლ-შვილსაც გაჭირვებით ვარჩენთო.

◆ ტფილისის მოქალაქეთა მოურავმა ი. ს. ბუდდანოვმა სთხოვა გუბერნატორს, ავადმყოფობისა გამო სახურიდან განმათავისუფლეთო.

◆ სამხედრო სასამართლოს თავმჯდომარემ სთხოვა გუშინ ქალაქის გამგეობას, ოლგას ქუჩაზე, სასამართლოს წინ, სადაც ცხენის რკინის გზის ვაგონები ჩერდება, ქვაფენილის გამართვა.

◆ ბაქოს ქალაქის გამგეობას გაზეთებიდან შეუტყვია, რომ ტფილისის ქალაქის გამგეობას სესხის ასაღებად ერთ საკრედიტო დაწესებულებაში საკუთარი სახლი დაუგირავებია. ბაქოს ქალაქის მოურავი სთხოვს ტფილისისას აცნობოს, რა საბუთებია საჭირო საკრედიტო დაწესებულებისათვის წარსადგენად, რომ სახლის დაგირავებით ქალაქმა ბაქომ საჭირო სესხი აიღოსო.

◆ ტფილისის მოქალაქემ ბაგრატ საკოვმა სთხოვა ქალაქის გამგეობას მისცეს იჯარით მუხრანის ბორანი წელიწადში 12000 მან, იმ პირობით-კი, რომ ეს ფული ნაწილ-ნაწილ გადაუხადოს ქალაქს.

◆ გუშინ ტფილისის ქალაქის გამგეობამ სთხოვა ამიერ-კავკასიის ადგილ-მამულების გამმიჯნველ გამგეობას, ნება დართოს ქალაქის მიწის მზომელს ისარგებლოს გამგეობის ცნობებით ქალაქის გეგმის შედგენის დროს

◆ ხვალისთვის დანიშნულია კრება ტეხნიკოსთა ურთ-ერთ დამხმარებელ საზოგადოებისა. კრება განიხილავს წარსულის წლის ანგარიშს, ამა წლის აღრიცხვას და სხვ. დასასრულ კრებამ უნდა ამოარჩიოს საზოგადოების მოხელე პირნი.

რუსეთის ქრონიკა

◆ შინაგან საქმეთა მინისტრმა დაადგინა: ჟურნალის „იუგო-ზაპადნაია ნედელია“-ს გამოცემა შეაჩეროს 8 თვით, ხოლო გაზეთის „ენისეი“-ს გამოცემა—სამის თვით.

◆ ციმბირის ოქროს მრეწველთა კრებას შემდეგი რეზოლიუცია დაუდგენია: სასურველია, სამთო ისპრავნიკი ოქროს მადნებიდან რაც შეიძლება შორს სცხოვრობდეს, რადგან, თუ ისპრავნიკი შორს იცხოვრებს, მადნებში მოსვლის დროს მუშებზე დიდ შთაბეჭდილებას მოახდენს; თუ ისპრავნიკი მადნებთან ახლო იცხოვრებს, მუშები შეეჩვევიან და იმის სიტყვას და ხარისხს მუშებზე შესაფერი გავლენა აღარ ექმნებაო. („სიბ. ჟიზნ.“).

◆ ხმა გავრცელდა, ვითომ ბაიკალის ტბაზე რუსის 2.000-მდე ჯარის-კაცი გაიყინაო. ამის გამო პეტერბურგიდან დეპეშით შეეკითხნენ იქაურს მოხელეებს, რომლებმაც პეტერბურგში შეატყობინეს, ეგ ხმა ტყუილიაო („გრაჟ.“).

◆ პეტერბურგის სასულიერო აკადემიის სტუდენტებმა შორეულ-აღმოსავლეთში მებრძოლ ჯარში წასვლის სურვილი განაცხადეს. უმაღლესმა სასულიერო მთავრობამ ეს სურვილი მოიწონა.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

20 თებერვალი

ვენა. სერბიის მთავრობამ თავის ელჩებს პეტერბურგსა და ვენაში დაავალა, ოფიციალურად შეატყობინეთ პეტერბურგისა და ვენის კაბინეტებს, რომ სერბია წინ აღუდგება ყველა იმას, რაც რეფორმების შემოღებას მაკედონიაში ხელს შეუშლის და ყოველსავე ზომას მიიღებს, რათა ეს რეფორმები განხორციელდეს. ეს გადაწყვეტილება სერბიის მთავრობამ ბოლგარიის მთავრობას შეატყობინა, საზღვრების მოხელეებს მტკიცე ინსტრუქცია გაუგზავნა, რათა აჯანყებულთ ხელი არ შეუწყონ და ძველ სერბიის საკონსულოებს მიანდო, მცხოვრებთ ეს გადაწყვეტილება ჩააგონეთო.

ლიონი. არქიეპისკოპოსი კარდინალი კული სახელმწიფო საბჭოში მიიწვიეს პასუხის მოსათხოვნად იმ პროტესტის ქაღალდის გამო, რომელიც კულიმ სხვა კარდინალებთან ერთად რესპუბლიკის პრეზიდენტს გაუგზავნა. კულიმ განაცხადა, სახელმწიფო საბჭოში არ მოვალო.

პარიზი. საკასაციო სასამართლოს სისხლის სამართლის პალატაში არჩევენ საკითხს დრეიფუსის საქმის ხელმეორედ გადათვალიერების შესახებ. მომხსენებელმა ბევრი ილაპარაკა საქმის ვითარებაზე და სთქვა, რენის სასამართლოს საქმეში მოსამართლეებმა ბევრი საბუთის ქაღალდები არ იცოდნენ; ამ ქაღალდებს შორის იყო ერთი ქაღალდი, რომლით მტკიცდებოდა, რომ წინადადება „cette canaille de D»-ში დრეიფუსი არ უნდა ვიგულისხმოთო.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ჯაბადარი**.

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა, 18 თებერვალი

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	93,80	
ბერლინისაზე 100 მარკაში	—	
პარიზისაზე 100 ფრანკში.	37,35	
ლონდონისაზე ჩეკები	94,55	
ბერლინისაზე „	46,22½	
პარიზისაზე „	37,57½	
ბირჟის დისკონტი	7½%	
4% სახელმწიფო რენტა	93	გაყ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ. . . .	—	
4½% შინაგანი სესხი 1903 წ. . . .	—	
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ. .	99½	„
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ. .	349½	
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	302	„
5% გირ. მომგ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბანკ.	240¾	„
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ. . .	—	
4½% ობლ. იმავე საზოგად..	—	
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ. . .	—	
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	—	
4½% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა. .	80	„
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა.	—	
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა. . .	—	
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია. . . .	165½	„

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდან.

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) ნაშუადღევის 4 ს. 30 წ. (5 ს. 28 წ.); 2) საფოსტო № 4 ღამის 12 ს. 10 წ. (1 ს. 8 წ.); 3) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 6 ს. 36 წ. (7 ს. 34 წ.).

ბათუმს: 1) საფოსტო № 3 საღამოს 5 ს. 30 წ. (6 ს. 28 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 7 ს. 10 წ. (8 ს. 8 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 10 ს. 15 წ. (11 ს. 13 წ.); 2) საქონლ.. სამგზ. № 90/91 შუადღის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28წ.)-

ბორჯომს. სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს (2 ს. 58 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს) საღამოს 7 ს. 4 წ. (8 ს. 2 წ.); საფოსტო № 3 საღამოს 4 ს. 40 წ. (5 ს. 38 წ.); სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 15 წ. (7 ს. 13 წ.); საქონ.-სამგზ. № 17 ღამის 11 ს. 24 წ. (12 ს. 22 წ.).

ბათუმიდან: საფოსტო № 4 დღის 11 ს. 25 წ. (12 23 ს. წ.); სამგზავრო № 6 ღამის 9 ს. (9 ს. 58 წ.).

ერევან-ყარსიდან: საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 55 წ. (6 ს. 53 წ.); საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 4 ს. (4 ს. 58 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

ბ ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერჯელ კვირაში) ღამის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.); 2) საფოსტო № 3 ღამის 10 ს. 30 წ. (11 ს. 28 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 50 წ. (1 ს. 48 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 ღამის 3 ს. 10 წ. 4 ს. 8 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) საფოსტო № 4 ღამის 11 ს. 10 წ. (12 ს. 8 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 8 ს. 34 წ. (9 ს. 32 წ.).

ზორაპნამდე: სამგზ. № 10 ღამის 12 ს. 7 წ. (1 ს. 5 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სამგზ. № 103 ღამის 3 ს. (3 ს. 58 წ.); 2) შუადღის 12 ს. 20 წ. (1 ს. 18 წ.).

ბათუმისაკენ: 1) სამგზ. № 101 ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ.); 2) სამგზ. № 107 ნაშუადღევის 2 ს. 20 წ. (3 ს. 18 წ.); 3) სამგზ. № 109 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

ზორაპნამდე: № 11/12 ნაშუადღევის 3 ს. 10წ. (4 ს. 8 წ.).

განცხადებანი

«ცნობის ფურცლის»
კანტორის განყოფილება
ქუთაისში

სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობა „**კოლხიდა**“-სთან (ბალახვანის ქუჩა, საკუთარი სადგომი) მიიღება ხელის-მოწერა გაზ. „ცნ. ფურც.“-სა და ჟურნალ „მოამბე“-ზე.

აქვე მიიღება საჩივრები ქუთაისის ხელის-მომწერთაგან ჟურნალისა ან გაზეთის მიუსვლელობაზე და სხვ.

ხელის-მოწერა მიიღება აგრეთვე ბ-ნ ვ. ბეჟანეიშვილის წიგნის მაღაზიაში და „წიგნ. გამომც. ქუთ. ამხანაგობის“ კიოსკში.

ქუთაისის ხელის-მომწერთ, რომელნიც პირდაპირ რედაქციისაგან (ტფილისიდან) დაიკვეთენ გაზეთს, ვთხოვთ შეგვატყობინონ **სრული** თავისი ადრესი (ქუჩა, სახლის პატრონის გვარი ან სახლის №).

ქუთაისში
სამ[illegible] თოფურიძის
სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვითა და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

ისყიდება
ნიკოლოზ ბარათაშვილის
დიდი სურათი,

ფასი გაგზავნით 70 კაპ. (შეიძლება მარკებით), გაუგზავნელათ 50 კაპ. ადრესი: Тифлисъ, Редакція „Могзаури“ (Межев. 72). (3—3)

ტფილისის ქალაქის
გამგეობა

ამით აცხადებს, რომ 27 თებერვალს ამ 1904 წელს, ნაშუადღევის პირველ საათზე, გამგეობის სადგომში **მოხდება საჯარო ვაჭრობა**, რომელზედაც გაიცემა იჯარით მიწის ნაჭერი, ზომით 263 ოთხ-კუთხი საჟენი ქალაქ ტფილისის მე-10 საპოლიციო უბანში, საწყობ დამოქნის პირდაპირ.

ვისაც ჰსურს ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღოს, შეუძლიან პირობანი გასინჯოს გამგეობის მე-4 განყოფილებაში დილის 9-დან ნაშუადღევის 3 საათამდე. დაბეჭდილი კონვერტები მიიღება ვაჭრობის დაწყებამდე. ვაჭრობაში მონაწილეობის მიმღებთ უნდა წარადგინონ ბე 200 მანეთი. (3—6.—2)

სასტუმრო **იალტა** ნომრებით

მართლმადიდებელ სემინარიის პირდაპირ, ოქრომჭედლების ქ. კუთხეში. სადილი **ორი** თავით, ჭიქა არაყით, ღვინით და ფინჯანი ყავით 50 კ. უსასმელებოთ და უყავოთ 30 კ. სადილი **სამი** თავით, ჭიქა არაყით, ½-ბოთ. ღვინით და ფინჯანი ყავით 75 კ. ღვინო ბოთლი 30 კ. და ძვირფასიც. თვიურათ იაფათ და ეძლევათ აბონიმენტები. სადილია 11—5 საათ. დილის და 5—12 ს. საღ.

(88—52—5)

Дозв. ценз. Тифлисъ 20 февраля 1904 г. ელექტრონის სტამბა, ქართ. ამხ—ის წიგნების გამომც. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва.